ემზადებიან მეოთხედფინალისათვის

თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები ენერგიულად ემზადეგბიან ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური მატჩებისთვის ლონდონის “ვესტ ჰემ იუნაიტედთან”. ამ სამზადისის პროგრამით მათ 26 თებერვალს თბილისის “ლოკომოტივის” სტადიონზე საკონტროლო მატჩი გამართეს ორჯონიკიძის “სპარტაკთან”.

სპარტაკელებს უკვე პირველ წუთებზე ზედიზედ ორჯერ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან. ჯერ შენგელიამ გამოიყენა სვანაძის ზუსტი გადაცემა, ხოლო შემდეგ დარასელიამ ისარგებლა წამით შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობით და მეორედ აიღო მეტოქის კარი.

შუა ტაიმში მეკარე ოლეინიკმა მესამედ გამოიტანა ბურთი ბადიდან. იგი შენგელიას ანგარიშზეა.

შესვენების შემდეგ შენგელიამ კიდევ ორჯერ გამოიჩინა თავი და დინამოელებმა თავიანთი ეს საწვრთნელი თამაში მოიგეს დიდი ანგარიშით 5:0.

“სპარტაკს” ჰქონდა ერთი ბურთის გაქვითვის შესაძლებლობა, მაგრამ ზაზროევის მიერ დარტყმული პენალტი აიღო მეკარე გაბელიამ.

თბილისის “დინამომ” ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია (იმნაძე), ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი (მელიქია), მუჯმირი, დარასელია, სვანაძე (თავაძე), სულაქველიძე (ჭილაია), გუცაევი, ყიფიანი (ჩქარეული), შენგელია.

“ლელო”, 28 თებერვალი, 1981 წ.